არტურ შოპენჰაუერი

Arthur Schopenhauer

საკმაო საფუძვლის პრინციპის ოთხგვარი ფესვის შესახებ

(ფილოსოფიური ტრაქტატი)

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

ავტორის წინამდებარე ტექსტი მისი ფილოსოფიის ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც საკმაო საფუძვლისა და განსჯის კლასიკური პრინციპის მისეულ გადახედვასა და გაფართოებას ასახავს.

საკმაო საფუძვლის პრინციპი ითვალისწინებს გარემოებას, რომ ყველაფერს უნდა ჰქონდეს მიზეზი. ავტორი ამ პრინციპს ოთხ განსხვავებულ კატეგორიად ყოფს, რომელთაგან თითოეული შეესაბამება ახსნის კონკრეტულ რეჟიმს და წარმოდგენის უნიკალურ ფორმას. ადამიანის აღქმა თანდაყოლილად ინტელექტუალურია – ჩვენი გონება ნედლ სენსორულ მონაცემებს რეალობის თანმიმდევრულ წარმოდგენებად ასინთეზირებს. შოპენჰაუერის თქმით, მიზეზობრიობის (კაუზალობის) გაგების ჩვენეული უნარი ინტელექტის ფუნდამენტური ფუნქციაა.

შოპენჰაუერი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ არის ადამიანის აღქმა და გაგება განუყოფელი ინტელექტუალური ინტერპრეტაციისგან. მტკიცებით, რომ „სამყარო ჩემი წარმოდგენაა“, შოპენჰაუერი ადგენს ჩარჩოს, რომელშიც რეალობა ფუნდამენტურად გონებით არის ჩამოყალიბებული. „ოთხგვარი ფესვი“ მისი საერთო ფილოსოფიური სისტემის მნიშვნელოვან შესავალს წარმოადგენს და ღრმა გავლენას ახდენს მის შემდგომ ნაშრომებზე, როგორიცაა „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“.

მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე
რედაქტორი: დავით ცომაია
გამომცემელი: გიზო ცაცუა
გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-7634-9

სარჩევი

წინათქმა....9

პირველი თავი. შესავალი....12

§ 1. მეთოდი....12

§ 2. მისი გამოყენება მოცემულ შემთხვევაში....13

§ 3. წინამდებარე კვლევის მნიშვნელობა....14

§ 4. საკმაო საფუძვლის პრინციპის მნიშვნელობა....16

§ 5. თვით პრინციპი....17

მეორე თავი. მიმოხილვა იმ ძირითადისა, რაც საკმაო....18

საფუძვლის პრინციპის შესახებ დღემდე ისწავლებოდა....18

§ 6. პრინციპის თავდაპირველი ჩამოყალიბება....18

და მისი ორი მნიშვნელობის განსხვავება....18

§ 7. დეკარტი....23

§ 8. სპინოზა....27

§ 9. ლაიბნიცი....36

§ 10. ვოლფი....37

§ 11. ფილოსოფოსები ვოლფიდან კანტამდე....39

§ 12. ჰიუმი....40

§ 13. კანტი და მისი სკოლა....42

§ 14. პრინციპის დამტკიცებათა შესახებ....43

მესამე თავი. ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობის....46

არასაკმარისობა და ახლის მონახაზი....46

§ 15. შემთხვევები, რომლებსაც პრინციპის ზემოთ....46

განხილული მნიშვნელობები არ ითვალისწინებს....46

§ 16. საკმაო საფუძვლის პრინციპის ფესვი....48

მეოთხე თავი. სუბიექტისათვის განკუთვნილ.....50
ობიექტთა პირველი კლასისა და საფუძვლის.....50
კანონის მასში მოქმედი ფორმის შესახებ.....50
§ 17. ობიექტთა ამ კლასის ზოგადი დახასიათება.....50
§ 18. ემპირიული სინამდვილის ტრანსცენდენტული.....51
ანალიზის მონახაზი.....51
§ 19. წარმოდგენების უშუალო მუნ-ყოფნა.....53
§ 20. ქმნადობის საკმარისი საფუძვლის პრინციპი.....57
§ 21. კაუზალობის ცნების აპრიორულობა... ემპირიული.....81
ჭვრეტის ინტელექტუალურობა... ინტელექტი.....81
§ 22. უშუალო ობიექტის შესახებ.....126
§ 23. კაუზალობის ცნების აპრიორულობის.....127
კანტისეული დამტკიცების უარყოფა.....127
§ 24. კაუზალობის კანონის ბოროტად გამოყენების შესახებ..138
§ 25. ცვლილების დრო.....139
თავი მეხუთე. სუბიექტისათვის განკუთვნილ.....143
ობიექტთა მეორე კლასისა და საკმარისი.....143
საფუძვლის პრინციპის იმ ფორმის შესახებ,.....143
ამ კლასის ფარგლებში რომ მოქმედებს.....143
§ 26. ობიექტთა ამ კლასის დახასიათება.....143
§ 27. ცნებათა სარგებელი.....148
§ 28. ცნებათა წარმომადგენლები. შეფასების უნარი.....150
§ 29. შემეცნების საკმაო საფუძვლის პრინციპი.....154
§ 30. ლოგიკური ჭეშმარიტება.....155
§ 31. ემპირიული ჭეშმარიტება.....157
§ 32. ტრანსცენდენტური ჭეშმარიტება.....158
§ 33. მეტალოგიკური ჭეშმარიტება.....158
§ 34. გონება.....161
თავი მეექვსე. სუბიექტისათვის განკუთვნილ ობიექტთა.....189
მესამე კლასისა და საკმარისი საფუძვლის პრინციპის იმ.....189
ფორმის შესახებ, ამ კლასის ფარგლებში რომ მოქმედებს....189

§ 35. ამ კლასის ობიექტთა დახასიათება.....189
§ 36. ყოფიერების საფუძვლის პრინციპი.....190
§ 37. ყოფიერების საფუძველი სივრცეში.....191
§ 38. ყოფიერების საფუძველი დროში. არითმეტიკა.....193
§ 39. გეომეტრია.....194
თავი მეშვიდე. სუბიექტისათვის განკუთვნილ.....204
ობიექტთა მეოთხე კლასისა და საკმარისი.....204
საფუძვლის პრინციპის იმ ფორმის შესახებ,.....204
ამ კლასის ფარგლებში რომ მოქმედებს.....204
§ 40. ზოგადი დახასიათება.....204
§ 41. შემეცნების სუბიექტი და მისი ობიექტი.....204
§ 42. სურვილის სუბიექტი.....208
§ 43. სურვილი. მოტივაციის კანონი.....209
§ 44. ნების გავლენა შემეცნებაზე.....211
§ 45. მეხსიერება.....213
თავი მერვე. ზოგადი შენიშვნები და შედეგები.....217
§ 46. სისტემა.....217
§ 47. საფუძველსა და შედეგს შორის დროითი.....219
ურთიერთმიმართება.....219
§ 48. საფუძველთა ურთიერთმიმართება.....220
§ 49. აუცილებლობა.....221
§ 50. მიზეზთა და შედეგთა რიგები.....224
§ 51. თითოეულ მეცნიერებას გზამკვლევ ძაფად.....226
საფუძვლის პრინციპის რომელიმე ერთი სახეობა.....226
აქვს ამორჩეული.....226
§ 52. ორი მთავარი შედეგი.....227

გამომცემლობის მიერ გამოცემული.....233
არტურ შოპენჰაუერის წიგნები.....233

ის დავიფიცოთ, ვინც ჩვენს სულს მიანიჭა ოთხეული
– მარად მედინი ბუნების ფესვი ზეიდუმალი![1]

1. (ბერძნ.) „Ναι μα τον ἁμετέρᾳ ψυγᾷ παραδόωτα τετρακτύν,
Παγάν ἀενάου φύσεως, ῥιζώματ' ἔγουσαν“.
ამ სიტყვებით პითაგორელნი დებდნენ ფიცს წმინდა „ტერაკისის“ („ოთხეულის“), ანუ ათი წერტილისაგან შემდგარი სამკუთხედის სიმბოლოს წინაშე. „ოთხეულს“ ისინი უწოდებდნენ პირველი ოთხი ციფრისაგან შემდგარ სრულყოფილ რიცხვს, ანუ ათიანს (1+2+3+4=10). ხოლო „ოთხეულის მომნიჭებლად“ მათ მიერ გაღმერთებულ პითაგორას გულისხმობდნენ.

წინათქმა

ეს ელემენტარული ფილოსოფიური ნარკვევი პირველად 1817 წელს გამოქვეყნდა, როდესაც მისთვის დოქტორის ხარისხი მომანიჭეს, შემდგომში კი ის მთელი ჩემი სისტემის ფუნდამენტად ვაქციე. ამიტომ, ჩემი ეს თხზულება წიგნის დახლებს აღარ უნდა მოაკლდეს, როგორც ეს უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე იყო, რის შესახებაც მხოლოდ ახლა შევიტყვე.

თუმცა ასეთი ადრეული ნაშრომის მთელი მისი ნაკლოვანებებითა და შეცდომებით დღის სინათლეზე ხელახლა გამოტანა სწორად არ მივიჩნიე. რადგანაც, ვფიქრობ, არცთუ ისე შორია ის მომავალი, როდესაც უკვე აღარაფრის შეცვლის საშუალება მომეცემა, არადა, სწორედ მასთან ერთად დადგება ჩემი ჭეშმარიტი გავლენის ხანა, რომელიც, ვიმედოვნებ, დიდხანს გასტანს. დიახ, მტკიცედ მწამს სენეკას გამონათქვამისა: „თუნდაც შენს ყოველ თანამედროვეს შურმა დაუხშოს ბაგე, [მომავალში] მოვლენ ის ადამიანები, ვინც უბოროტოდ და ულმობლად განგსჯიან“[1]. ამიტომაც, ჩემი ეს ახალგაზრდული ნაშრომი შეძლებისდაგვარად გავაუმჯობესე და, ცხოვრების ხანმოკლეობისა და მუხანათობის გათვალისწინებით, სამოცი წლისამ ოცდაექვსი წლის ასაკში დაწერილის ჩასწორება იღბლიან შესაძლებლობად მივიჩნიე.

ამასთან, გადავწყვიტე, ჩემს ახალგაზრდა ალტერ-ეგოს ლმობიერად მოვპყრობოდი და, სადაც კი შეიძლებოდა, სიტყვა მისთვის დამეთმო; მხოლოდ იქ ჩავერიე, სადაც ცდებოდა,

1. (ლათ.) „Etiamsi omnibus tecum viventibus silentium livor indixerit; venient qui sine offensa, sine gratia judicent“.

ზედმეტს ლაპარაკობდა, ანდა მთავარსა და მნიშვნელოვანს უყურადღებოდ ტოვებდა; მსგავსი შემთხვევები კი ტექსტში ხშირია. ამიტომაც, მკითხველს, ალბათ, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს ჭაბუკის თხზულებას მოხუცი უკითხავდეს, მაგრამ წიგნს დროდადრო თვალს სწყვეტდეს და თემასთან დაკავშირებით საკუთარ ექსკურსს უღრმავდებოდეს.

იოლი მისახვედრია, რომ ეგზომ დიდი ხნის შემდეგ ამგვარად ჩასწორებული ტექსტი მთლიანობას ვერ შეინარჩუნებდა – ეს მხოლოდ ერთიანად ჩამოსხმულ ქმნილებას ახასიათებს. მოცემული თხზულება თუნდაც სტილსა და თხრობაში იმდენად არაერთგვაროვანი გამოვიდა, რომ გაწაფული მკითხველი ნებისმიერ მონაკვეთში უტყუარად გაარჩევს მოხუცის ხმას ჭაბუკის ხმისგან. რასაკვირველია, აქ უდიდეს სხვაობას აღმოაჩენთ: ერთი მხრივ – რბილი, მოკრძალებული კილო იმ ახალგაზრდა კაცისა, სათქმელს განდობილად რომ გამოთქვამს, რადგან ჯერაც წრფელად სწამს, რომ ყველას, ვინც ფილოსოფიითაა დაკავებული, მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტება სწყურია, ამიტომ, ჭეშმარიტების ნებისმიერ მესვეურს სიხარულით მიიღებს; მეორე მხრივ კი – მოხუცის მტკიცე, ამასთან, ოდნავ ხრინწიანი ხმა: ხმა კაცისა, ვინც, როგორც იქნა, გააცნობიერა, წვრილმან ხელოსანთა და მლიქვნელთა რაოდენ კეთილშობილ საზოგადოებაშიც მოხვდა და ისიც იცის, სინამდვილეში მისგან რასაც მოელიან; და თუნდაც ახლა ყოველი ფორიდან აღშფოთებას აფრქვევდეს, სამართლიანი მკითხველი არც ამის გამო გაუწყრება; რადგან თანდათანობით ხომ აშკარა გახდა წარმატების რეცეპტი: ჭეშმარიტება მუდმივად გეკეროს პირზე, თვალი კი ზემდგომის განწყობებზე გეჭიროს და, თუკი, ამასთან, e quovis ligno fit Mercurius[2] დიდ ფილოსოფოსებზეც ვრცელდება, მაშინ მათ რიგებს ისეთი უმსგავსო შარლატანე-

2. (ლათ.) მერკურიუსის გამოსაქანდაკებლად ნებისმიერი ხე გამოდგება.

ბითაც ავსებენ, როგორიც ჰეგელი გახლავთ. საქმე ისაა, რომ გერმანული ფილოსოფია დღეს ყველასაგან მოძულებული, უცხოელების მიერ მასხრად აგდებული, პატიოსან მეცნიერებათაგან განზე დგას, რადგან, მეძავის მსგავსად, ორიოდ გროშად ხან ვის მიეყიდება და ხან ვის.

დღევანდელ მეცნიერთა თაობას ჰეგელის აბსურდული მსჯელობებით აქვს ინტელექტი არეული: გონების უნარდაკარგულნი, ტლანქნი და თავგზააბნეულნი იოლად ექცევიან ზედაპირული მატერიალიზმის მარწუხებში, ბასილისკოს კვერცხიდან რომ გამოიჩეკა. ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მე კი ისევ ჩემს საკითხს ვუბრუნდები.

მაშასადამე, ჩემს მკითხველს მოუწევს, არაერთგვაროვან კილოს შეეგუოს, რადგან აქ არ შემეძლო მოგვიანებით დაწერილი მონაკვეთები ბოლოში ცალკე დამერთო, როგორც ჩემი მთავარი ნაშრომის შემთხვევაში მოვიქეცი. თანაც, საბოლოო ჯამში, მთავარი ხომ ის არ არის, თუ რა დავწერე ოცდაექვსი წლისამ და რა – სამოცი წლის ასაკში. მთავარი ისაა, რომ მათ, ვინც ფილოსოფიის ძირითად საკითხებში ერკვევა და ვისაც ცოდნის გამყარება სურს, ეს მცირე წიგნი მიიღონ, საიდანაც პატიოსან, სერიოზულ და მართალ სიტყვას ამოიკითხავენ და დიდი იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება. იმ დამუშავების ხარჯზე, რაც წიგნის ზოგიერთმა ნაწილმა განიცადა, ის შემეცნების უნარის ერთგვარ ზოგად თეორიადაც კი იქცა, რომელიც ისევ და ისევ მხოლოდ საფუძვლის კანონს გულისხმობს და საკითხს ახალი მოულოდნელი მხრიდან წარმოგვიჩენს, საბოლოოდ დასრულებულ სახეს კი თხზულების „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ პირველი ტომით, მეორე ტომის შესაბამისი თავებითა და კანტის ფილოსოფიის კრიტიკით იღებს.

მაინის ფრანკფურტი, 1847 წლის სექტემბერი.

პირველი თავი

(შესავალი)

§ 1
მეთოდი

ღვთაებრივი პლატონიც და გასაოცარი კანტიც თავიანთი სულშიჩამწვდომი სიტყვით ფილოსოფიისა და, ზოგადად, შემეცნების ერთსა და იმავე მეთოდს გვასწავლიან... ისინი ამბობენ, რომ აუცილებელია, თანაბრად დავიცვათ ორი კანონი – *ჰომოგენურობისა (ერთგვაროვნების)* და *სპეციფიკაციის (განკერძოების)* კანონები – და არცერთ მათგანს არ მივანიჭოთ უპირატესობა მეორის ხარჯზე. ჰომოგენურობის კანონი მოითხოვს, მოვლენათა მსგავსებები და თანხვედრები დავაფიქსიროთ და ამის საფუძველზე გამოვყოთ მოვლენათა სახეობები, სახეობები ჯგუფებად გავაერთიანოთ, ჯგუფები – გვარებად, ვიდრე საბოლოოდ, უზენაეს, ყოვლისმომცველ ცნებამდე არ მივაღწევთ. რაკი ეს კანონი ტრანსცენდენტურია და ჩვენი ინტელექტისათვის არსებითია, მის აუცილებელ წინაპირობად მასთან ბუნების თანხმობა გვევლინება, რასაც შემდგომი ძველი წესი ასახავს: entia praeter necessitatem non esse multiplicanda[3]. – ხოლო სპეციფიკაციის კანონს კანტი შე-

3. (ლათ.) არსებებმა აუცილებლობის გარეშე არ უნდა იმრავლონ.

მდეგნაირად განსაზღვრავს: entium varietates non temere esse minuendas[4]. მოცემული იმას ნიშნავს, რომ ერთურთისაგან მკაფიოდ უნდა გავარჩიოთ გვარის ყოვლისმომცველი ცნებით გაერთიანებული ჯგუფებიც და მათში გაერთიანებული უმაღლესი და უმდაბლესი სახეობებიც და ვუფრთხილდეთ ისეთ ნახტომს, რომელიც უმდაბლეს სახეობებს ან, სულაც, ინდივიდებს უშუალოდ გვარის ცნებას დაუქვემდებარებდა; ამასთან, თითოეული ამ ცნებათაგან შეიძლება, თავის მხრივ, უფრო მცირე ქვეცნებებად დანაწევრდეს და არც ერთი მათგანი ოდენ შესახედაობამდე არ დაიყვანება. კანტი გვასწავლის, რომ ორივე ეს კანონი ინტელექტის ტრანსცენდენტური საფუძველია, რომელიც საგნებთან საკუთარ თანხვედრას აპრიორი პოსტულირებს, ხოლო პლატონი, როგორც ჩანს, თავისებური მანერით ამასვე გვამცნობს, როდესაც აცხადებს, ეს წესები, რომლებმაც ყოველი მეცნიერება წარმოშვა, პრომეთემ ღმერთთა საბრძანებლიდან ცეცხლთან ერთად მიწაზე ჩამოიტანაო.

§ 2
მისი გამოყენება მოცემულ შემთხვევაში

ზემოთ ნახსენები წესებიდან მეორე, ჩემი აზრით, მიუხედავად ეგზომ მძლავრი რეკომენდაციისა, ნაკლებად გამოგვადგება ყოველგვარი შემეცნების ერთ-ერთ მთავარ საფუძველთან მიმართებით – ვგულისხმობ *საკმაო საფუძვლის პრინციპს*. თუმცა ის ოდითგანვე და არაერთხელ იქნა ჩამოყალიბებული, მაგრამ დღემდე უგულებელყოფილია მისი ძალზე მრავალფეროვანი გამოყენების მკაფიო გამიჯვნა, თუმცა თითოეულ

4. (ლათ.) არსებათა მრავალფეროვნება შემთხვევითობამდე არ უნდა დავიყვანოთ.

გამომცემლობის მიერ გამოცემული

არტურ შოპენჰაუერის წიგნები

1. პესიმიზმი
2. ფილოსოფია
3. საკმაო საფუძვლის პრინციპის ოთხგვარი ფესვის შესახებ